რაც შეეხება სუტ საწარმოებს, რომლებიც ახლა არსებობენ სამინისტროების წყალობის ხარჯზე, აქ შეიძლება ფართოდ გამოვიყენოთ კრედიტების მიცემა გარკვეული პირობებით, სპეციფიის შემთხვევაში მოვახდინოთ მათი რეორგანიზაცია, უკიდურეს შემთხვევებში კი დავხუროთ კიდევ ასეთი საწარმოები, გადავცეთ ისინი იჯარით შრომითის კოლექტივებს ან კოოპერატივებს. და ამისი არ უნდა გვეშინოდეს.

ეკონომიკის გაჯანსაღებს ხელი უნდა შეუწყოს ბანკების მუშაობის გარდაქმნამაც, მთ სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანამ, კომერციული ბანკების ქსელის განვითარებამ.

მესამე. კონფერენციაზე დაინტერესებით განვიხილეთ მართვის ორგანიზაციული სტრუქტურების გარდაქმნის და განსაკუთრებით მეურნეობრიობის ახალ სისტემაში სამინისტროთა როლის საკითხი. უნდა ითქვას, ეს ახლა ყველაზე პასუხსაგები მიმართულებაა მართვის სისტემის რეკონსტრუქციაში. აწონ-დაწონილად უნდა მივუდგეთ ამ საკითხის გადაწყვეტას, დავეყრდნოთ როგორც მართვის ორგანობის, ისე იმ საწარმოების გამოცდილებასა და ახალ ფუნქციებს, რომლებიც უნდა დაეკისროთ ბაარონ ერონარეს ყოფილსა კანონებს და მათთან დადგენილ ეკონომიკური ქცევის წესებს.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ სწორედ იმაზე, თუ რამდენად სწრაფად იტოვიან ახალ პირობებში მართვის ორგანოები თავიანთ ადგილს, რამდენად წარმატებით დაეუფლებიან მეურნეობრიობის ახალ მეთოდებს, ახლუბურად ააგებენ ურთიერთობას საწარმოებთან, გადამწყვეტწილად იქნება დამოკიდებული თვით მართვის ორგანოების, აპარატის კადრების ავტორიტეტი. კონფერენციაზე ჩამოყალიბდა მკაფიო პოზიცია — ჩვენ ოოლად ვერ წავალთ, თუ არ გვექნება მართვის თანამედროვე კომპეტენტური, მაღალპროფესიული აპარატი. მაგრამ ამავე დროს ამ აპარატმა გადაჭრით უნდა გარდაქმნას თავისი მუშაობა რადიკალური ეკონომიკური რეფორმის მოთხოვნათა და შრომითი კოლექტივების ახალი როლის გათვალისწინებით.

მეოთხე. პოლიტიკური სისტემის რეფორმასთან დაკავშირებით დგება საწარმოებისა და საბჭოების ურთიერთობის გარდაქმნის ამოცანა. ეს ასევე ძალიან სწორი დაყენებაა. არსებითად საქმე ეხება თვითმმართველობის ეკონომიკური საფუძვლის შექმნას ადგილობრივი ორგანოებისათვის მამოყოფილი საზოგადოებრივი საკუთრების ნაწილის სახით, რომელიც შეიცავს კომუნალურ მეურნეობას, მომსახურების სისტემას, სანაბილო ფონდს, საკალაო ტრანსპორტსა და ა. შ.

ეს ისეთნაირად არ უნდა გავგოთ, თითქოს საკვანძო სამინისტროებს ნაცვლად ახლა სწორედს ბრძანებლობას გაუწევენ რესუბლიკური და ადგილობრივი ორგანოები. ეს იქნებოდა ერთი მბრძანებლური სისტემის მეორე სისტემით პრიმიტიული შეცვლა. ყველა საწარმოსა და გაერთიანებას უფლება აქვს და კიდევაც უნდა იმუშაოს ქვეყნის ერთიანი ბაზრისათვის, მათი ურთიერთობა კი უნდა ეფუძნებოდეს პროდუქციის ეკვივალენტურ გაცვლას. ხოლო რაც შეეხება მათ ურთიერთობას ადგილობრივ ორგანოებთან, იგი უნდა განმტკიცდეს შესაბამისი სამართლებრივი ნორმებითა და ეკონომიკური ნორმატივებით.

ჩვენ სრულად უნდა გამოვიყენოთ ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის ფარგლებში შრომის ტერიტორიული დანაწილების უპირატესობანი და ამასთან საბიუჯეტო შემოსავლის ზრდის, მეშვეობით უზრუნველყოთ რესუბლიკური და ადგილობრივი ორგანოების დაინტერესება რეგიონალური ეკონომიკის ეფექტიანობის გადიდებით. მეზუთე. ვეარაუღობთ, შრომის კოლექტივის მივცეთ უფლება დამოუკიდებლად აირჩინონ სამეურნეო ანგარიში ესა თუ ის ფორმა, გავაძლიერით დაინტერესება მისი მეორე მოდელის გამოყენებით. ეს ნიშნავს, უარი ვთქვათ ხელფასის ფონდის წარმოქმნისა და მოგების განაწილების ნორმატივების ზემოდან დადგენაზე. მიდაწარმოებთის ურთიერთობის საფუძვლად უნდა დადგეს სამეურნეოანგარიშებრივი შემოსავალის განაწილება და გამოყენება, სახელმწიფოსა და საწარმოთა ურთიერთობა კი მოწეურრიგდეს დადასახადების განაკვეთებით სახელმწიფო შეღავათების სისტემასთან შეხამებით. ეს მეტად სასურველი იქნებოდა, ამხანაგებო.

ეკონომიკური რეფორმის პრობლემათა განხილვის კონტექსტით მინდა კიდევ ერთხელ შეეეხო საიჯარო ურთიერთობის. სწორედ იგი, ინარჩუნებს რა როგორც სახელმწიფო, ისე კოოპერაციულ საკუთრებას, საშუალებას გვაძლევს დავძლიოთ მონოპოლია, ანუ ჭიმვალობა“. „არავისობა“. უზრუნველყოთ მუშაკების, შრომითი კოლექტივების რეალური სამეურნეო დამოუკიდებლობა და პასუხისმგებლობა, ადამიანთა გასამრჯელოს პირდაპირი კავშირი მათი მუშაობის საბოლოო შედეგებთან. პრინციპული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ სანარდო იჯარის დროს, ადგილი არ რჩება მართვის მბრძანებლურ მეთოდებს, რადგან დაქვეშდებრნის ურთიერთობა გადაიზრდება სახელშეკრულებო, ურთიერთპასუხისმგებლურ საპარტნიორო ურთიერთობაში. ამიტომ იჯარის შესახებ კანონიც, რომელზეც უკვე ვილაპარაკე, უნდა იყოს აქტი, რომელიც სახალხო მეურნეობის ყველა დარგზე ვრცელდება.

ჩვენ მოვალენი ვართ ალვაკვეთოთ ყველა დაბრკოლება სიჯარო ურთიერთობის გაკრცელების გზაზე. დაუყოვნებლივ გადავჭრათ საჭირო სამართლებრივი საკითხები, მათ შორის იჯარის ვადების საკითხი. ამაზე უკვე ვილაპარაკეთ, მაგრამ ერთხელ კიდევ ხაზგასმით ალენშნავ: იჯარის ოოკლე ვადები სტიმულს არ მისცემს დაბანდებებს წარმოების განვითარებასა და მოდერნიზაციაში და შეიძლება წამგელჯური განწყობილებანიც კი წარმოშვას. ეს ცხადია. საჭიროა იჯარის საფასურის მტკიცე ფანაკვეფებიც, რომლებიც გითვალისწინებს როგორც ბიუჯეტის, ისე შრომითი კოლექტივების ინტერესებსაც.

დასასრულ, ამხანაგებო, მინდა შეეეხო კიდევ რამდენიმე საკითხს, თავისი შინაარსით სხვადასხვა საკითხს, მაგრამ, მიმაჩნია, დიდმნიშვნელოვანს ჩვენი მუშაობისათვის.

პირველი საკითხი — მეცნიერების შესახებ. კონფერენციამ მწვავედ დასვა მისი განვითარების საკითხი, აღნიშნა, რომ პრაქტიკულად დიდი მნიშვნელობის მთელი რიგი მიმართულებებით ჩვენში თავი იჩინა ჩამორჩენამ მეცნიერული ნამუშევრების მსოფლიო დონისაგანაც და ჩვენი საზოგადოების, სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებებისაგანაც. ამას, ამხანაგებო, არ შეიძლება არ დაეთანხმო, და ეს გვაკოვებს მთელი ყურადღებით მოვეკიდოთ კონფერენციის შეფასებებისა და მოთხოვნების რეალიზაციას.

ვფიქრობ, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელობა ერთხელ კიდევ უნდა დაუბიჯნდეს ფუნდამენტური კვლევისა და სამამული მეცნიერების სხვა მიმართულებების განვითარების პროგრამებს. თუ მეცნიერება აქტიურად არ დაგვეხმარა, ვერ დავძლევთ გარდაქმნის ამოცანებს.

თავის მხრივ სახელმწიფო ორგანოებმაც, კერძოდ, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, უნდა განიხილონ ნამეცნიერების მატერიალური ბაზის ძირეული გაუმჯობესების საკითხები, გადახედონ სტრუქტურულ და საინვესტიციო პოლიტიკას, რათა უზრუნველყონ მისი პრიორიტეტული მიმართულებების განვითარებისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნა. მრავალი საკითხი უკვე გადაწყვიტეთ, სხვა საკითხებზე უნდა დავიჩქარით გადაწყვეტილებათა მიმზადება.

განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვენ საზოგადოებრივი მეცნიერებანი. ყველას გადაგვდო შეშფოთება და დაუკმაყოფილებლობის გრძნობა, რომელიც გამოიხატა პარტკონფერენციაზე, მათი ახლანდელი მდგომარეობის გამო. ერთხელ კიდევ უნდა ვთქვათ, რომ საქმე მარტო თვითმეცნიერება როდია. მნიშვნელოვანწყობილ ახლანდელი სტიტაცია აიხსნება წარსულში საზოგადოებრივი მეცნიერებებისადმი დამოკიდებულებით. მაგრამ მით უმეტეს უნდა ვთქვათ, რომ გარდაქმნა ამ სფეროში ჩამორჩენა ფორთ ფორად უზრუნველყოფოს პოლიტიკური ავანგარდის, იდეების გენერატორის როლს, წინ მიდის მთავარში, — ყოველივე ამას ვერ მივაღწევდით. დღესიდაგ და თანამიმდევრულად რომ არ გვემუშავა თეორიის, იდეოლოგიის საკითხებზე.

და მიუხედავად ამისა, კონფერენციამ ერთხელ კიდევ მთელი ძალით გვიჩვენა, რომ იდეოლოგიურ სფეროში არ შეიძლება იყოს არავითარი შესუსტება, მით უმეტეს, დაგვიიანა. აქ არ შეიძლება შემოვიფარგლოთ იმპროვიზაციებით, ერთჯერადი კამპანიებით, კერძო ამოცანების გადაწყვეტით გარდაქმნის პრინციპული მიზნების კონტეპტის გარეშე. არა მარტო შეფერხებებმა და ზარეგზებმა ეკონომიკისა და სოციალური პოლიტიკის სფეროში, არამედ ჩამორჩენამაც, რომ ალარფერი ვთქვათ შეცდომებზე, თეორიულ და იდეოლოგიურ ფრონტზე შეიძლება გაართულოს და გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს ჩვენს რევოლუციურ საქმეს. ან, რატომ გვჭირდება კაკლავე გავფიფაროოოთ თეორიული კვლევის ფრონტი, გავალრმაოთ იდეოლოგიური მუშაობა ყველა მიმართულებით.

თეორიული პრობლემების გადაპაჭერად ჩვენი პარტიისა და საზოგადოების პოტენციური შესაძლებლობანი ეშმაორტად უზარმაზარია, ამხანაგებო. დღეანდელი მოოალურ-პოლიტიკური ატმოსფერაც ყველა პირობას ქმნის იმისათვის, რომ მიმდინარეობდეს აქტიური შემოქმედებითი პროცესი საზოგადოებრივი აზრის ყველა მიმართულებით, რაც უშუალო გავლენას ახდენს საზოგადოებრივი აზრის ყველა მიმართულებით, ეს ეხება ჩვენ, ეს ეხება ჩვენ, ეს ეხება ჩვენ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება

პარტიული აპარატის გარდაქმნის ძირითადი მიმართულებების შესახებ

XIX საპარტიო პარტიულმა კონფერენციამ საქმიანობა, პარტიულ ორგანიზაციათა მუშაობის ფორმები და მეთოდები შეუსაბამო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, როგორც საზოგადოების პოლიტიკური ავანგარდის, როლსა და ახალ ამოცანებს. ამასთან დაკავშირებით დიდ მნიშვნელობას იძენს პარტიული კომიტეტებისა და სახელმწიფო, სამეურნეო ორგანოების უფნქციათა ზუსტი და თანამედროვე გამიჯვნა, პარალელიზმისა და დუბლირების დაძლევა მათ მუშაობაში, პარტიული აპარატის სტრუქტურის რადიკალური შეცვლა და ხარისხის გაუმჯობესება, პარტიის არჩევითი კოლეგიებისათვის ხანა მკაცრი დაქვემდებარება და ანგარიშვალდებულება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ადგენს:

1. მომდინარე წლის დამლეგამდე განვახორციელოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და ადგილობრივი პარტიული ორგანოების აპარატის რეორგანიზაცია, გარდაქმნათ მისი სტრუქტურა თანამედროვე პირობებში პარტიის ფუნქციათა შესაბამისად, მხედველობაში მიეღოთ მართვის დარგების მიხედვით აპარატის დანაწევრებაზე უარის თქმა და განვამტკიცოთ ქვეგანყოფილება, რომელიც წყვეტენ საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად საკითხებს. ამასთან მუშაკთა საერთო რიცხვი არსებითად უნდა შემცირდეს.

ვიხელმძღვანელოთ იმით, რომ პარტიული აპარატი, არის რა პარტიის ორგანიზაციული სტრუქტურის განუყოფელი შემადგენელი ნაწილი, მოწოდებულია იყოს გარდაქმნის აქტიური ძალა, ინსტრუმენტი, რომლის მეშვეობით არჩევითი პარტიული ორგანოები ახორციელებენ თავიანთ პოლიტიკურ, ორგანიზაციულ და აღმშენებლობით ფუნქციებს, ეწევიან მიმდინარე მუშაობას მიღებულ გადაწყვეტილებათა რეალიზაციისა და შესრულების შემოწმებისათვის, იმისათვის, რომ დახმარება გაუწიონ ქვემდგომ ორგანიზაციებს მათ საქმიანობაში.

პარტიული აპარატის რეორგანიზაცია და მის მუშაკთა ნაწილის გამოთავისუფლება უნდა გამოვიყენოთ სახელმწიფო, სამეურნეო და საზოგადოებრივი საქმიანობის დიდმნიშვნელოვანი უბნების, აგრეთვე ქვემდგომი პარტიული რგოლების განმტკიცებისათვის. ამ დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სახალხო დეპუტატთა საბჭოების აპარატისა და სახალხო კონტროლის ორგანოების განმტკიცებას პოლიტიკურ საკადრო მათი ახალი როლის გათვალისწინებით.

უზრუნველყოფილი უნდა იყოს პარტიული კომიტეტების აპარატის პირველადი პარტიული ორგანიზაციების ინიციატივის მიხი გარდაქმნის განხორციელებაში.

2. სკკპ ცენტრალური კომიტეტი უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებს პარტიული კომიტეტების მიერ განხორციელებული ხელმძღვანელობის პოლიტიკური ხასიათის გაძლიერებას, მბრძანებლურ-შემოქმედებითი მეთოდების, მათ საქმიანობაში ტოტალიტარიზმის გამოვლინებათა გადაჭრით აღმოფხვრისათვის, პარტიული და საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიული პრინციპების დაქვემდებარებათვის.

პარტიულ კომიტეტებს, მათ აპარატს ახლი განსაკუთრებით მოეთხოვებათ უნარი თანამიმდევრულად განახორციელონ საზოგადოების რეოლუციური განახლებისათვის გამონაწილი პარტიის გეზი, იმოქმედონ შემოქმედებითად, იდეურ-აღმზრდელობითი და ორგანიზატორული მუშაობის მეთოდებით, ამასთან არ გაუწიონ მეუფლება და არ შებოჭონ ძირეული პარტიული რგოლები. უარადგენთ შეისწავლონ და განაზოგადონ ახალ პირობებში პარტიული მუშაობის პრაქტიკა, გააანალიზონ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და სულიერ სფეროებში მიმდინარე პროცესები, ხელი შეუწყონ საუკეთესო გამოცდილების გავრცელებას. პარტიული აპარატის მუშაობას სულ უფრო მეტად უნდა ახასიათებდეს ლერგილიანობა, საკვანძოა, კრიტიკულობა, ყოველდღიური კავშირი მასებთან.

3. პარტიულმა კომიტეტებმა, მათმა მბიურობამ, სამდივნოებმა უნდა გააძლიერონ ყურადღება მუშაკთა შერჩევისა და პარტიულ აპარატში დაწინაურებისადმი. დააკომპლექტონ იგი პოლიტიკურად მომზადებული, კარგად მომზადებული კომუნისტებით, რომლებსაც აქვთ მაღალი მორალური თვისებები და შეუძლიათ ახლებურად მუშაობის მოწყობა.

პარტიულ აპარატში მუშაკთა დაწინაურების აუცილებელ პირობად ჩაითვალოს პირველადი პარტიული ორგანიზაციის რეკომენდაცია. პარტიულ ორგანიზაციას, რომელიც აპარატში მუშაობის რეკომენდაციას მისცემს კომუნისტს, უფლება აქვს დასვას საკითხი თანამდებობიდან მისი განთავისუფლების შესახებ, თუ მან ვერ გაამართლა ნდობა.

საჭიროა ყოველმხრივ დავუჭიროთ მხარი და განვითარეროთ აპარატის მუშაკთა ინიციატივა, მეტი დახმარება გავუწიოთ მათ, დავამკვიდროთ პარტიული ამხანაგობის, სკკპ წესდების წინაშე ყველა კომუნისტის თანასწორობის ვითარება, გადავრჩინ ადმოფხვრით ბიუროკრატიზმის, ქედმაღლობის, კომუნისტური ეოყოჩობის, მაამებლობის გამოვლინების ელემენტები.

4. დიდველის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს განმანილის და დაამტკიცოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპარატის ახალი სტრუქტურა, აგრეთვე განსაზღვროს ადგილობრივი პარტიული ორგანოების აპარატის ძირითადი რგოლები, ამასთან მოკავშირე რესპუბლიკების პარტიკომთა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებს მიანდოს უფლება დამოუკიდებლად გადაწყვიტონ ყველა პარტიული კომიტეტისა და პარტიულთა დაწესებულებების სტრუქტურულ-საშტატო საკითხები ფუნქციათა შეცვლის გათვალისწინებით და რესპუბლიკაზე, სამხარეო, საოლქო პარტიული ორგანიზაციის ხელფასის დამტკიცებული ფონდის ფარგლებში.

ᲒᲣᲨᲘᲜ — ᲓᲦᲔᲔ — ᲮᲕᲐᲚ

ᲤᲐᲥᲢᲘ ■ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ ■ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ

ᲐᲜᲚᲐᲒᲔᲚ „ᲤᲐᲖᲘᲡᲘᲡ" ᲛᲝᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

◆ **ᲐᲮᲚᲐᲮᲐᲜ** შვეიცის ქალაქ ფალუნში დამთავრდა საერთაშორისო ტრადიციული ფოლკლორული ფესტივალი, რომელშიც მსოფლიოს 50-ზე მეტი ქვეყნის ფოლკლორული კოლექტივი მონაწილეობდა. ფესტივალზე საბჭოთა კავშირიდან წარგზავნილი იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფოლკლორული ანსამბლი, საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი „ფაზისი" (ხელმძღვანელი — რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ჯუმბერ ყოლბაია).

ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებმა შვეიცარი გამგზავრებამდე კონცერტი გამართეს მოსკოვში, ხალხთა მეგობრობის მუზეუმში. ფესტივალამა ერთ კვირას გასტანა. „ფაზისის" პოლკლორიზმი მიუთითებს ის, რომ თუ სხვა ფოლკლორულ კოლექტივებს პროგრამაში განსაზღვრული ქონდათ ნახევარი საათი, ჩვენს ანსამბლს საათნახევარი დაუთმეს. გარდა ამისა, „ფაზისმა" მონაწილეობა მიიღო ფესტივალის გახსნასა და დახურვაში (ეს პატივი მხოლოდ რამდენიმე რჩეულ კოლექტივს ხვდა). ტაბის გრიალში „ფაზისი" ყველაზე საუკეთესო ანსამბლად აღიარეს. „ფაზისის" წარმატებას ფართოდ გამოეხმაურა ადგილობრივი პრესა, ტელევიზია: კონცერტი ორჯერ უჩვენეს ტელევიზიით, ჩაწერეს ვიდეოფირზე.

ფესტივალის დახურვის შემდეგ „ფაზისმა" კიდევ ორი კონცერტი გამართა: შვეიცარის საყვარელი მხატვრის კარლ ლარსენის სახლ-მუზეუმში და სტოკოლმში, სსრ კავშირ-შვეიცარის საელჩოში.

შვეიცარის ერთ-ერთი ანსამბლის „ორიენტალ-ექსპრესენინის" ხელმძღვანელი უვე რონსტრიო, რომელიც ნამყოფია საქართველოში და კარგად იცის საქართველოს ისტორია, ჩვენი ანსამბლის კონცერტზე ინფორმაციის აწვდიდა ხალხმრავალ აუდიტორიას, დიდი სითბოთი და საყვარულით ყვებოდა საქართველოს შესახებ.

ᲡᲝᲤᲘᲐᲡ ᲞᲝᲠᲢᲣᲒᲐᲚᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

◆ **ᲩᲘᲜᲔᲡ** ქვეყანაში საბჭოთა კავშირის ქალთა კომიტეტის მოწვევით იმყოფება პორტუგალიის რესპუბლიკის პარლამენტარ ქალთა დელეგაცია სოციალ-დემოკრატიული პარტიისაგან დეპუტატის ლუიზა ფერეირას მეთაურობით. სტუმრები ეწვიენენ საქართველოს დედაქალაქს, დაათვალიერეს მისი ღირსშესანიშნაობანი, შეხვდნენ ეროვნულ „საქართველოს ქალის" კოლეგენტს.

აქ გაიმართა დაინტერესებული სხვა-ბასი სსრ კავშირში, კერძოდ, საქართველოში „სუსტი" სქესის პრობლემებზე, ჩვენს რესპუბლიკასა და პორტუგალიაში ქალთა გამოცემებზე, პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა როლზე, კულტურულ და სოციალურ მშენებლობაში მათ მონაწილეობაზე.

ᲙᲘᲠᲝᲕᲐᲙᲐᲜᲔᲚᲗᲐ ᲒᲐᲡᲢᲠᲝᲚᲔᲑᲘ

◆ **ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲓᲐ** სომხეთის ერთ-ერთი საუკეთესო თეატრალური კოლექტივის — კიროვაკანის აბელიანის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის ერთთავიანი გასტროლები საქართველოს ბოდდანოვკოის და ახალქალაქის რაიონებში. სოფლის მაყურებლის სამსჯავროზე გამოიტანეს გ. სუნდუკიანის, ა. წოგაკის, ა. კალანტარიანის, გ. სარკისიანის სპექტაკლები — „მეუღლეები", „მოუფრთხილდით მამაკაცებს", „არ იყიდება", „ოიროული" და სხვა სპექტაკლები.

ეს იყო კიროვაკანის თეატრისა და თბილისის შუმიანის სახელობის სომხური დრამატული თეატრის ტრადიციული გაცვლითი გასტროლები, რომელიც ამ დროს საგასტროლოდ იყო ჩასული სომეხ ქიმიკოსთა ქალაქში.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲝᲜ ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲘ

◆ **ᲐᲛᲗᲠᲝᲚᲐᲕᲘᲠ.** სოფელი ზემო კრიხი რაიონის ცენტრიდან დაშორებული, მაღალმთიანი სოფელია. იგი დიდი ხნის განმავლობაში მოწყვეტილი იყო გარესამყაროს. ახლახან ეს ნაკლი გამოსწორდა. იქ დაიდგა ე. წ. შემჭიდროებული ავტატერა, რითაც სოფელი რაიონულ ცენტრს დაუკავშირდა.

ამ დღეებში კარგი საჩუქარი მიიღო აგრეთვე სოფელ ცაფის მოსახლეობამაც: იქ ამუშავდა ახალი, კოორდინატული, 50-ნომრიანი სატელეფონო სადგური.

ᲐᲚᲐᲓᲒᲔᲜᲔᲑᲘ ᲥᲔᲓᲚᲘ

◆ **ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ** მრავალგზის ნგრევა-გაპარტახებისა, მუკუზნის სვეტიცხოვლის კონტურებში ახლაც ნათლად მოჩანს გარდასული საუკუნეთა ძეგლის სიდიადე. ამჟამად გურჯაანის რაიონის სოფელ მუკუზანში ბაზილიკის გაწმენდა-აღდგენაზე მუშაობს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტთა რაზმი 25 კაცის შემადგენლობით. სტუდენტებმა მნიშვნელოვანი მოცულობის სამუშაოები შეასრულეს ძველი ნაგებობის საძირკვლის გამოსაჩენად, მათი გადაწყვეტილებაა მომავალშიც არ მოაკლონ ზურგსა ამ ისტორიულ ძეგლს.

ᲗᲐᲚᲚᲘᲗᲝᲜᲝᲑᲐ ᲐᲠ ᲒᲐᲣᲕᲘᲓᲐ

◆ **ᲧᲐᲜᲩᲐᲠᲘ** და ფლომასტერი — შეიძლება კი ამ მარტივი ხელსაწყოებით დამამზადონ ოცდაბუთმანეთიანი კუპიური. შეიძლებათ! უპასუხა რესპუბლიკის დედაქალაქის 27 წლის მეხოვრემა ტ.-მ, რომელიც შეეცადა თავისი „ნაწარმოებით" გაეხსორებინა ანგარიში პირველი მაისის რაიონის ცენტრალურ საკოლმეურნეო ბაზრში.

მაგრამ გამყიდველებმა გამოიცნო ნაყალბეები და დასახმარებლად მოუხმო მილიციის მუშაკებს. თაღლითი დააკავეს. როგორც პირველი მაისის შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებაში თქვეს, მას ამის გარდა ჩამოართვეს ორი ანალოგიური „ბანკნოტი". ესეც კია, სამი „ასიგნაცია" მაინც მიუსაღებია უყურადღებო გამყიდველებისათვის...

◆ **„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ"** საკავშირო გაერთიანებასთან ხელშეკრულებით ცნობილმა პოლონურმა ფირმამ „ბუდიმექსმა" ხელი მოაკოდა სოხუმში სასტუმრო კომპლექსის „აფხაზეთის" რეკონსტრუქციის და მშენებლობის დამთავრებას. ინტერნირების ეს ახალი ობიექტი ერთდროულად ხუთას სტუმარს მიიღებს. მან განკარგულებაში იქნება რესტორანი ეროვნული სამზარეულოთი, გამბარი ზღვის წყლის საცურაო აუზი, ბარები, სუნები და კეგელბარი.

პოლონელი მშენებლები ამთავრებენ აგრეთვე ზღვისპირას კოტეჯების აგებას, რომელთა პირველი მდგმურები თვითონ იქნებიან.

ᲡᲣᲠᲐᲗᲨᲘ: სასტუმროს ახალი კოტეჯები.

ᲦᲕᲐᲠᲪᲝᲤᲘ ᲣᲮᲔᲕᲔᲚᲘ

◆ **ᲮᲣᲚᲝᲡ** რაიონის სოფელ თხილვანის დაახლოებით 20 კილომეტრზე ღვარცოფის შემოტევის სახიფათო ზონაში. ამჟამად ამ სოფლების მეზოგრეზელები განიხუნენ არიან უსაფრთხო ადგილებში, მაგრამ ვითარება კვლავ სერიოზულია.

პირველი ბგერთხილება ღვარცოფის შესაძლო შემოტევის შესახებ, როგორც საქინფორმის კორესპონდენტს თქვეს პარტიის ხულოს რაიონულ კომიტეტში, მიიღეს გასული თვის დამლევს. სტიქიამ მთელი ძალით შემოგვიტია 23-24 ივლისს. ღვარცოფი, რომელიც, როგორც ეკოლოგებმა დაასკვნეს, გამოწვეულია ეროზიული პროცესებით, კვლავ ემუქრება კიდევ 70 კილომ. სოფლებში თხილვანში და კალლოთაში 13 პექტარზე დაზიანდა თამბაქოს პლანტაციები, სიმინდისა და ლობიოს ნათესები. ღვარცოფი დაატყდა თავს სოფლების სტეფანაშვილებსა და ლორეკლომს შორის მდებარე ტერიტორიასაც, დაზიანდა გზა და კიდევ 4,5 პექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები.

მსხვერპლი არ არის. რაიონში ოპერატიულად შექმნილი შტაბი მოსახლეობის აქტიური მხარდაჭერით ყველა ღონეს ხმარობს ანობრეკრეული სტიქიის სალიკვიდაციოდ.



რუბრიკასთან გამოეგზავნოთ საკადრესო, საქართველოს და „კომუნისტის" კორესპონდენტთა მისამართი.

ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ"

სიტყვას ითხოვს გულშემატკივარი

ᲛᲣᲚᲘᲗ ᲗᲛᲕᲘᲜᲘᲡ ᲔᲠᲝᲡᲐᲓ

ᲐᲮᲚᲐ ხდებოდა: როცა მომძიმდა, ფიქრით სტადიონზე გადავინაცვლებდი ხოლმე, წარმოვიდგენდი საყვარელი გუნდის — თბილისის „დინამოს" ყველაზე დასამახსოვრებელ თამაშს, და მაშინათვე სულ ცოტა განწყობიერება შეუფლობოდა. ასეთი, დასამახსოვრებელი შეხვედრა კი რამდენი იყო!

დარწმუნებული ვარ, რომ მოგაგონდებიან ეს ასეთი თამაშები! გენდი ხომ ეოცახალი მეძანიზმია, რომლისათვის უცნო არ არის ადამიანური ვნა და ფიცა, სიხარული და სინანული, მერეყოფა და მტკიცე რწმენა.

მტკიცედ მწამს, რომ წარმატების რწმენით გამოელენ დინამოელები ხოლმე ბაზე. თითოეული ჩვენგანი, მთელი რესპუბლიკა, თბილისელი ყოველი მცხოვრები გულით თქვენთან ვიქნებით!

წარმატებას გისურვებთ, დინამოელებო!

ᲗᲐᲑᲣᲐ ᲐᲛᲘᲠᲔᲯᲘᲑᲘ,

მწერალი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

ᲔᲠᲗᲘ ᲝᲛᲬᲘᲚᲘ ᲬᲐᲠᲗ

ᲠᲝᲪᲐ სკკპ ეხება რესპუბლიკის პრესტიჟს, სპორტის ნებისმიერი სახეობის წარმომადგენლები გრძნობენ ზხოლოდ ერთს — პასუხისმგებლობას თავიანი ხალხის წინაშე. მოკიდავეები და კალათბურთელები, წყალბურთელები და ტანმოვარჯიშეები, მძლეოსნები და ფეხბურთელები... ყველანი, როგორც წესი, გაურთიანებელი არიან ერთი ოჯახად, ბჯარს უქერენ ერთმანეთს დიდი მზნეობის მიღწევამდე.

საქართველოში ძნელია იპოვოთ ადამიანი, რომლის ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი არ ეკავოს ფეხბურთს. სამწუხაროდ, უკანასკნელ წლებში დინამოელები ვერ ახარებენ თავიანთ თაყვანისმცემლებს. გუნდი ახლა ისეთ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რომელზეც სპორტსმენები ამბობენ ხოლმე: უკან დასახევი გზა ღიარ არისო. ვფიქრობთ, რომ შეიძლება გამოინახოს გამოსავალი ასეთი მდგომარეობიდან. დაე, ფეხბურთელებმა გაიხსენონ, როგორ სპორტულ ტრადიციებზე არიან აღზრდილი. ფხიზლად უნდა შეეფიფოთ სიტუაცია, სხვადან არ უნდა ეეძებინო დამნაშავეები, არამედ, ყველაფერი უნდა ვეძიონოთ საქმის გამოსაწორებლად. მეშმის, რომ დინამოელებს შეუძლიათ დაძლიონ კრიზისი და ავლეკ ბოლოანონ სიხარული თავიანთ თაყვანისმცემლებს.

ᲠᲝᲛᲐᲜ ᲠᲣᲠᲣᲐ,

სპორტის დამსახურებული ოსტატი, ოლიმპიური ჩემპიონი.

ᲓᲐᲓᲒᲔᲑᲐ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ

ᲗᲘᲤᲚᲘᲡᲘ ისეთი დროც, როცა ფეხბურთელები გულით იბრძოდნენ ფეხბურთის დიდებისათვის.

იბრძოდნენ გატაცებით, ძალის დაუზოგავად!

ისეთები იყვნენ „ფეხბურთის კაცნი" ბორის პაიჭაძე, მოთა მაგვალეძე, ალექსანდრე დორეხოვი, გიორგ ჯეჯელავა, ბორის ფოროლავი, გრიგორ გაგუა, ავთანდილ ღოღობერიძე, გოგი ანთაძე, მოთა იამანიძე, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი, მურთაზ ხურცილავა, დავთა ყიფიანი... სხვები და სხვები.

სამწუხაროა, რომ დღეს ჩვენში ყველა ფეხბურთელი ყოველთვის მგზნებარედ, თმელი გულით, დაუზოგავად არ იბრძვის თავისი გუნდის დიდებისათვის.

დადებითი, მისაბაძი მაგალითი კი აქვთ.

გვკვირა, რომ კვლავ დადგება ქართული ფეხბურთის გაზაფხული, როგორც ეს იყო დინამოელთა სახელოვან გამარჯვებათა წლებში.

ᲤᲘᲚᲘᲞᲔ ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ,

საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტი.

ᲘᲐᲮᲢᲔᲑᲘ ᲥᲐᲠᲛᲐ ᲒᲐᲘᲢᲐᲪᲐ

ᲒᲠᲘᲒᲝᲚᲘᲡᲫᲣᲠᲛᲐ ქარმა, რომელმაც 28 ივლისს გადაუარა ბალტიის ზღვას, რიგის ყურეში გადაეტანა 30-მდე იახტა, რომლებიც ლატვიის ჩემპიონატში მონაწილეობდნენ. მათ უკანასკნელი გადაცურეს. ჭარნდათ ეხტორეთის პიარნუს ნავსადგურიდან ლატვიის დედაქალაქამდე.

იახტები აღმურეული არ იყო რადიოსადგურებით და ამიტომ ეკიპაჟებს დროულად ვერ მიეღეს გაფრთხილება, რომ მოსალოდნელი იყო ქარი. ქარის სიჩქარე ზოგჯერ წამში 24 მეტრს აღემატებოდა. ხანი სპორტული ნომალდი პიარნუში დაბრუნდა, ოცდარვამ განაგრძო შეჯიბრება. გუნდნ რიგაში შეეფდა 22 ნომალდი. ხუთი ქარმა ნაპირზე გარიყა, დღემდე ვერ უპოვიათ ერთი აფროსანი. როგორც მილიცია იტყობინება, რიგის ყურის ნაპირას, მეოთვეზეთა ცარნიკავის დასახლებასთან უპოვიათ ერთი ხომალდის გვამი, რომელიც რიგის „მეზღვაურის" კლუბის აფრისნით „ფელფინით" მონაწილეობდა რეგატაში. ოთხი იახტაზეა უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

დაკარგულებს ეძებენ ვერტფრონავები, ლატვიის საზღვაო საპატრულო მაშველი გემები და საოვეზაო ტრანსპორტები. რიგასა და ცარნიკავას შორის ყურეში დაცურავენ საბჭოთა კონტინენტზეც „პიერ პაუადი" და ბუქსირი „ეუსონი", რომელებსაც დავალებული აქვთ თვალი ადევნონ ზღვას. ძიებას ირთულებს ავდარი და ქარი.

ᲡᲠᲣᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ და ფეხბურთთან დაკავშირებული საკითხები, გასაგებ მიზეზთა გამო, წამყვანია სპორტული პრესის თემატიკაში. საქმე ისე წაგვიყვანდა, რომ ახლა სულ უფრო ხშირად და ხშირად გვიხდება საუბარი ჩვენი საფეხბურთო მეურნეობის საველაო მდგომარეობაზე. მაგრამ ვიფიქრ ახალ საუბარს დავიწყებდეთ, ფეხბურთის მესვეურო ბოდიში უნდა ვთხოოთ. მათ არ უყვართ, როცა ფეხბურთის საქმეებში „გარეშე ხალხი" ერევა და ხელს აფათურებს. ემაზე, ბალნა არ დაგვიტკბესოო, და მზად არიან „ადგილ-მამულს" რაინის ღობე შემოავლონ. თავისი საქმისა თვითონ იციან, მაგრამ ჩვენი მხრიდან უთუოდ სისუსტე იქნებოდა, იმათი რიდით ხმა გაგვიკმენდა და საიქმელი ბალიშქვეშ ამოგვდო, ვითარცა მოსაგერეებლად გადასახული იარაღი. ასეთმა პოლიტიკამ საეკვეოა ხეირი მოგვეტანოს. დამალული ჭირი ყოველთვის უფრო სახიფათოა. ეს ცხოვრებაში ათასგზის გამოცდილია და ბეჭედდასმული, თუმცა, ერთხანს, ჩმალამფიფეულ ბრძოლას, განზე დგომას ვამჯობინებდით, უკეთეს შემთხვევაში, აზრის „ბამბით და ვარაყით" შეხვევას ვცდილობდით.

ფეხბურთის მილიონობით გულშემატკივარი ჰყავს. თითოეულ მათგანს სრული უფლება აქვს თავისი აზრი გამოთქვას ამ საგაზნზე, საზოგადოებრივი „კატალიზატორის" როლი კი ისეგ და ისეგ პრესამ უნდა იკისროს. შარშან და წლეულ „კომუნისტმა" რამდენიმე მწვავე წერილი გამოაქვეყნა ფეხბურთის თემაზე („მეცენატობა" და „მარიფათი" რეგნის ფეხბურთის", „ქართული ფეხბურთის სატკივნი"; „ვიცი, ამ წერილს არ დაბეჭდავთ", „ბოლოს და ბოლოს, მთამქმეგინეთ სიმართლეს"). იმდენად მწვავე, რომ გამოხმაურებათა ნაკადი დღემდე არ შეწყვეტილა. ამ წერილებზე, სხვა ნომრებში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებზე ერთადერთი ოფიციალური პასუხი მოვიღეთ, ისიც საქართველოს კომპპარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტიდან. აკი, ფეხბურთის მესვეურებს საზოგადოებრიობის აზრი ნაკლებად აინტერესებთ, სამაგიეროდ, ამ აზრის მოგერიების იშვიათ უნარს იკლინენ. ფეხბურთის სეზონის დამდეგს ფეხბურთის სამმართველოს უფროსმა ა. ჭკუხილაძ მაკიერად გაილაშქრა „არაკომპეტენტური კრიტიკისა და რჩევა-დარიგებების" წინააღმდეგ და მაგალითად მოიოყვანა „კომუნისტში" დაბეჭდილი ერთი პუბლიკაცია. ფეხბურთის სამმართველოს უფროსი ფეხბურთის საქმეებში (ეუკეს როგორ შეიტანს) სხვებზე უფრო კომპეტენტურია, მაგრამ საგან ბინდნოს ამ ამბავ, ბოლოს, ბეგრია, მაგრამ საქმე ნაკლებად ჩანს. საქმე ცუდად გვაქვს, ძალიან ცუდად, თანაც ყველა ფრონტზე: თბილისს „დინამოთი" დაწყებული და მასობრივი თუ ბავშვთა ფეხბურთითი დამთავრებული.

ასეთი მდგომარეობა ჩვენი ფეხბურთისთვის პასუხისმგებელ პირთა უზრუნველობისა და დაუდევრობის შედეგია. ამ პირთა შორის ფეხბურთის სამმართველოს მუშაკებს ერთ-ერთი ყველაზე მეტი საკვანძო პოსტი უჭირავთ. ისინი პოსტის სიმაღლეს კი გრძნობენ, მაგრამ მათთვისაც და საქმისთვისაც უკეთესი იქნებოდა, ასეთივე სიმძიფრით მოვალეობაც ეგრძნოთ. პოსტის სიმაღლე, უწინარესად, მოვალეობის სიმაღლეს გულისხმობს. ფეხბურთის მესვეურთ ბევრი ვალი დაუგროვდათ. ვერა და ვერ დამყარდა სრული წესრიგი საქართველოს საფეხბურთო პირველობებზე. მისმა პირველმა სახეგრძმა შედარებით მშვიდობიანად ჩაიარა, მაგრამ ბოლო ხანს სულ უფრო მეფიფოდ გაისმის ბნა — ორი კვირის მანძილზე საფეხბურთო მინდვრებზე არაერთი სერიოზული აპარატი, მწვრთნელთა და მსაჯთა კორპუსი. ვინ აგებს პასუხს ამისთვის, რომ 23 ივლისს მსაჯების გამოუცხადებლობის გამო ბათუმში მატჩი ჩაშალა, ხელვაჩაურში კი ხარვეზებით ჩატარდა; რა პასუხს გასცემენ საზოგადოებრიობას ხაშურისა და გეგეჭკორის რაიონების ხელმძღვანელი მუშაკები, მილიციის თანამშრომლები, რომლებმაც არაფერი იღონეს სტადიონზე ფეხბურთის ალსაკვეთად; რატომ ეწირება ჩვენი ფეხბურთის ინტერესები ზოგ-ზოგთა ტენდენციურობას, დაუდევრობას, წაქეზებას. ფაქტია, ბეგრგან ჯერ კიდევ არ გამოუტანიათ სათავე დასკვნები მასობრივ ფეხბურთში შექმნილი მდგომარეობის გამოსწორების თაობაზე რესპუბლიკის კონკრეტული მითითებებიდან და დავალებებიდან. არ იგრძნობა საერთო დაინტერესება, მასობრივი ფეხბურთის მართვის ერთიანი სისტემის არსებობა. სამაგიეროდ იგრძნობა საქმისადმი უწყვეტრივი მიდგომის, „პრესტიჟიული ქულების" ყველა გზითა და საშუალებებით მოპოვების, გადაბარელებაგადმიმტრალების ტენდენცია. ზოგჯერ საქმე ისე დაიხლართება, ვერ გაარჩევ, ვინ მტუკანია, ვინ — მართალი. ადგილობრივი ხელმძღვანელების აზრით, ნაკლოვანება-დარღვევათა სათავე ფეხბურთის სამმართველოში უნდა ვეძებოთ. სამმართველოს უფროსს კი მიაჩნია, რომ სტადიონებზე უხეშობა და აყალმაყალი „უმთავრესად რაიონების ხელმძღვანელებისა და მილიციის მუშაკების ბრალია" და ითხოვს: ფიფას პრეზიდენტის სიტყვებს: „ჩვენ ᲕᲘᲜ ᲬᲐᲠᲡ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲡᲪᲔᲜᲐᲠᲘᲡ?

ვიცოდეთ, ვინ ვინ ვართ" — ეფუძნოს ეროვნული ნაკრების ბანაკ-ბაზა, ეროვნული ნაკრების ბანაკ-ბაზა ეფუძნოს ეროვნული ნაკრების ბანაკ-ბაზა... ეს ასეთ ფრაზებ-ფრაზებ-ფრაზებ